პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 163 (9939) | კვირა, 11 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა იზაბელა ბლუმს (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომპაინერთა სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი (1-ლი გვერდი).

საქართველოს მწერლების მორიგი ამოცანები. — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ვ. პ. მუკანაძის** სიტყვიდან საქართველოს საბჭოთა მწერლებს IV ყრილობაზე (მე-2 გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების [illegible] კიდან. — **ზ. გელდიაშვილი.** — [illegible] ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი (მე-3 გვერდი).

სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი. — **გ. ხეჩუაშვილი.** — ორი მტს-ის მაგალითი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მაღლა ავწიოთ კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრების დროშა

პურეულის მოსავლის აღების ტემპი დღითიდღე ძლიერდება. ახალი მოსავლით დატვირთული წითელი ქარავნები განუწყვეტლივ მიედინებიან დამამზადებელი პუნქტებისაკენ. პირველი განალეწი მარცვლეულით ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები იხდიან თავიანთ წმიდა ვალს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

ამისათვის, რომ მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულ იქნას უდანაკარგოდ,—ნათქვამია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში,—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსავლის აღებაზე კომბაინების მთლიანად გამოყენებას, კვალიფიციური კომბაინერებითა და ტრაქტორისტებით, კოლმეურნეებით კომბაინის აგრეგატების დაკომპლექტებას, დაწესდეს კონტროლი თვითეული კომბაინის აგრეგატის მუშაობისადმი, პარტიული და საბჭოთა აქტივიდან გამოიყოს ორგანიზატორები ყოველ 3-5 კომბაინზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომბაინების შეუფერხებელი და მაღალი წარმადობით მუშაობა და ამით მნიშვნელოვნად შემცირდეს მოსავლის აღების ვადები. კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ამ უმნიშვნელოვანესი მითითებების განუხრელად განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსავლის თავის დროზე აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიამ მექანიზატორთა წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა თვითეული კომბაინის ყოველდღიური გამომუშავების მკვეთრად გადიდების ამოცანა. მექანიზატორები შემოქმედებითად შრომობენ, რომ ღირსეულად შეასრულონ პარტიის დავალება, თავიანთი წვლილი შეიტანონ საყოველთაო-სახალხო ამოცანის — სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის — განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მექანიზატორთა შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სტავროპოლის მხარის პეტროსკოეს მტს-ის კომბაინერთა წინადადებამ კომბაინის თვითეული აგრეგატის მიერ დღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, მარცვლეულის მაღალი გამოსავლიანობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ამ პატრიოტული ინიციატივის პასუხად საქართველოში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. კომბაინერები, ტრაქტორისტები და სხვა მექანიზატორები ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ და პრაქტიკულად იბრძვიან დაპირების გასანაღდებლად. მკის პირველი დღეები მოწმობენ, თუ რა ღრმად ჩასწვდა მექანიზატორთა, კოლმეურნეთა გულს პარტიის საბრძოლო მოწოდება. ნაყოფიერად შრომობს ამ დღეებში საქართველოში მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი — ლაგოდეხის რაიონის აფენის მტს-ის კომბაინერი ვლადიმერ უალეშვილი, რომელიც დღეში მკის 25 ჰექტარ ხორბალს და ჰექტარზე ლეწავს 21-22 ცენტნერ პურს. კაჭრეთის რაიონის ბაღიაურის მტს-ის კომბაინერი შალვა ალფაღიშვილი დღეში 20 ჰექტარზე იღებს პურეულს და ჰექტარზე 27 ცენტნერ მარცვალს ლეწავს. შეუფერხებლად ამუშავებენ კომბაინებს სიღნაღის რაიონის ალაზნის მტს-ის კომბაინერი მიხეილ ლაზარაშვილი, ლაგოდეხის მტს-ის კომბაინერი ფირუზ რიჟამაძე, წითელწყაროს მტს-ის კომბაინერები გიორგი დოლიძე, ანდრია კრავჩენკო, თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის მტს-ის კომბაინერი არსენ დალაქიშვილი და ბევრი სხვა. მოწინავე კომბაინერები მუშაობენ საათობრივი გრაფიკით, მნიშვნელოვნად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, პურს დაბლა ჭრიან, მოწყობილი აქვთ მარცვალსაჭერები, ამის შედეგად თავიდან იცილებენ პურეულის დანაკარგს, ბუნკერიდან მარცვალს ცლიან კომბაინის გაუჩერებლად, ფართოდ იყენებენ სამარჯვებს, რაც უზრუნველყოფს კომბაინებიდან სუფთა მარცვლეულის მიღებას და ჩაწოლილი პურის აღებას. წარჩინებულ კომბაინერთა მუშაობის გამოცდილება საქართველოს ყველა კომბაინერის კუთვნილება უნდა გავხადოთ.

კომბაინერი ცენტრალური ფიგურაა მოსავლის აღებაზე. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კონკრეტულად, ოპერატიულად, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომბაინერთა მუშაობას, უზრუნველყონ მათთვის ნორმალური მუშაობის პირობები, რათა სრული დატვირთვით იქნას გამოყენებული თვითეული მანქანა.

არის სერიოზული სიგნალები იმის შესახებ, რომ ზოგან კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას ფორმალურად ხელმძღვანელობენ, კომბაინერებს ხელს არ უწყობენ, რათა სრული სიმძლავრით გამოიყენონ შესანიშნავი ტექნიკა. ყვარლის რაიონის ენისლის მტს-ს პირველხარისხოვანი ტექნიკა აქვს და მექანიზატორთა კარგი კადრები ჰყავს. ამ მტს-ში უკრაინელ კომბაინერთა მაგალითისამებრ მოსავალს წელს ჯგუფური წესით იღებენ. ამ წესით მუშაობა საუცხოო შედეგს იძლევა. გადიდდა შრომის ნაყოფიერება, კომბაინის აგრეგატის დამხმარეებისა და ტრანსპორტის დიდი ეკონომია მიიღეს. მაგრამ ამ მტს-ში მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღების უდიდესი რეზერვი მთლიანად არ არის გამოყენებული.

ზოგიერთ კომბაინზე მოწყობილი არ არის ელექტროგანათება, რითაც ბრკოლდება ღამით მუშაობა. სახელოსნოში არა აქვთ ელექტროდენი, მანქანის დაზიანებული ნაწილები სხვა მტს-ში მიაქვთ აღსადგენად. მტს-ს ტრაქტორისა და კომბაინის მთელი რიგი სათადარიგო ნაწილები აკლია. ახლა, როცა უხვი მოსავლის აღების ბედი წყდება, რატომ ურიგდებიან ამ ნაკლოვანებებს პარტიის ყვარლის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი?

ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა ცუდ მომსახურებას უწევს კომბაინის აგრეგატს და მით აბრკოლებს კომბაინის მაღალი წარმადობით მუშაობას. სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობა სრულიად არ უწყობს ხელს კომბაინის აგრეგატის მომსახურე პერსონალს მუშაობაში. მექანიზატორებს საველე ფარდული არა აქვთ, კოლმეურნეობა აგრეგატზე მომუშავე მექანიზატორებს დიდი დაგვიანებით უგზავნის ცხელ საჭმელს, ხოლო ზოგჯერ სულაც არ უგზავნის. ასეთი მდგომარეობა სხვა რაიონებშიც არის. კომბაინერთა საკიროებისადმი ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა მის მასობრიობაშია. ყველა მექანიზატორი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს შეჯიბრებაში. სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობაში დიდი როლი აკისრია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სამწუხაროდ, სამინისტრო არაოპერატიულად ხელმძღვანელობს კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ებისა და მექანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოები სპეციალურად არ სწავლობენ შეჯიბრების მიმდინარეობას. ამას ისიც მოწმობს, რომ ამჟამად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სამინისტროში მასალები აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ლაგოდეხის რაიონის მტს-ებზე, ხოლო როგორ მიდის საქმე სხვა რაიონების მტს-ებში, ამის შესახებ არაფერი იციან. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში კომბაინერთა შეჯიბრების საკითხებზე მუშაობს მხოლოდ უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი. დროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ოპერატიულად, კვალიფიციურად უხელმძღვანელოს კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას.

მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშაობისამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი. მიხდინარე წელს რესპუბლიკურ კომიტეტს არ განუხილავს მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხი, რაც იმას მოწმობს, რომ მექანიზატორთა შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა დღემდე არ არის მოქცეული მათი ყურადღების ცენტრში.

სოფლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგებია საბჭოთა პრესის როლი. გაზეთები მოწოდებული არიან თვალყური ადევნონ არა მარტო მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების მუშაობას საერთოდ, არამედ ცალკეული კომბაინერების მუშაობასაც. ამისათვის აუცილებელია მნიშვნელოვნად გავაფართოოთ გაზეთების ავტორთა წრე, ავტორებად მოვიზიდოთ თვით კომბაინერები. სისტემატიურად, საქმის ცოდნით უნდა ვუჩვენოთ მოწინავე კომბაინერთა მუშაობის მეთოდები და ხერხები. ამასთან გაზეთები მოვალენი არიან მწვავედ გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის გარდამავალი წითელი დროშების დაწესებასა და გადაცემას. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა მტს-ში ყოველდღიურად ჯამდებოდეს კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. თუ დღეს რომელიმე კომბაინერმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია, ხვალ ამ წარმატებას ყველა მექანიზატორი უნდა იცნობდეს, რათა პრაქტიკულად გამოიყენოს ის ახალი, მოწინავე, პროგრესული ხერხები, რომლებიც დაეხმარა წარჩინებულ მექანიზატორს კომბაინის დღიური გამომუშავების გადაჭარბებით შესრულებაში.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მოსავლის აღების გადამწყვეტ უბნებზე — კომბაინების აგრეგატებში, მტს-ის სატრაქტორო და კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადებში, კალოებზე და დამამზადებელ პუნქტებში გაგზავნონ საუკეთესო ორგანიზატორები, აგიტატორები და პროპაგანდისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ დარაზმონ მასები მოსავლის ასაღებ სამუშაოთა, პურის დამზადებისა და შესყიდვის დავალების სანიმუშოდ მოწყობისათვის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გამოასწორონ ნაკლოვანებანი მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქმეში, ყოველმხრივ დაეხმარონ კომბაინერებს პარტიის მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებაში.

მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა კომბაინის თვითეული აგრეგატის მიერ დღიურ დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის, მარცვლეულის მეტი რაოდენობით გალეწვისათვის, „საუკეთესო ხარისხის კომბაინის აგრეგატის“ სახელწოდების მოპოვებისათვის!

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულება

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ივლისისათვის მთლიანად შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. დამზადებულია 1.201 ცენტნერი პარკი. დამზადება გრძელდება.

საქართველოს კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

* * *

შირაქის მტს-ში

შალვა ყამარაული „სტალინეც-6“-ით მოსავალს იღებს „დილიჩაში“. სამ დღეში მომკა 67 ჰექტარი, გალეწა 1.760 ცენტნერი მარცვლეული. დღეში მკის 23 ჰექტარს.

ივანე მელიქიშვილმა ხუთ დღეში მომკა 90 ჰექტარი და გალეწა 1.830 ცენტნერი ხორბალი.

ნიკოლოზ ლაგაიძემ ორ დღეში ზემო ქედის კოლმეურნეობაში 31 ჰექტარზე აიღო ქერი და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერზე მეტი. შემდეგ ორ დღეში მომკილი პურეულის 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 21 ცენტნერი ხორბალი.

გამარჯვების მტს-ში

ალექსი დათუკიშვილი ენერგიულად შრომობს მოსავლის მოკლე დროში და უდანაკარგოდ აღებისათვის. სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობაში მან მოსავალი აიღო 122 ჰექტარზე და გალეწა 2.310 ცენტნერი მარცვალი. გარდა ამისა, ამ დღეებში ესპარცეტი აიღო 40 ჰექტარზე და გალეწა 186,8 ცენტნერი ესპარცეტის თესლი. ესპარცეტის აღებაში დიდი წარმატებისათვის ამხ. დათუკიშვილი მტს-ში მიიღებს 2.500-მდე მანეთს, კოლმეურნეობაში კი 338 კილოგრამ მარცვლეულს.

რევზო ჯავახიშვილი ყოველდღიურად აძლიერებს მუშაობის ტემპს. მან რვა დღეში მომკა 160 ჰექტარი და გალეწა 3.600 ცენტნერი ხორბალი. დღეში იღებს 20-25 ჰექტარს.

აგარის მტს-ში

ზაქარია ჩუტკერაშვილი კარგა ხანს უცდიდა მოსავლის აღების პირველ სიგნალს სოფელ ქვინატკოცის კოლმეურნეობაში. ორი დღეა, რაც ქერის ყანები გაჭრა და აიღო 33 ჰექტარი, ჰექტარზე გალეწა 15 ცენტნერი ქერი. მას მუშაობაში ენერგიულად ეხმარებიან ტრაქტორისტები ვლადიმერ ზუმბულაძე და გიორგი ბერუაშვილი. ამხ. ჩუტკერაშვილმა გადაწყვეტა თვრამეტ სამუშაო დღეში მოსავალი აიღოს 400 ჰექტარზე.

გუგული ფუხაშვილი სოფელ მთის კოლმეურნეობაში შეუდგა ესპარცეტის აღებას. ერთ დღეს მის მიერ აღებული 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გალეწილია 20 ცენტნერი ესპარცეტის თესლი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 ცენტნერისა.

გიორგი ნოზაძე მომზადებული ხვდება პურის მკას. მისი კომბაინი „სტალინეც-6“ ამ დღეებში აგუგუნდება. გ. ნოზაძეს გადწყვეტილი აქვს მოსავალი აიღოს 500 ჰექტარზე.

კასპის მტს-ში

მიხეილ გოკოშვილი სიხარულით მოელოდა მკის დაწყებას. ოთხი დღეა შეუდგა მოსავლის აღებას კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში და „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 74 ჰექტარი. 8 ივლისს შედარებით ნაკლებმოსავლიან ფართობზე პურეული აიღო 19 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 12 ცენტნერი.

დავით წოვილაძემ ამავე კოლმეურნეობაში სამ დღეში 70 ჰექტარი მომკა. 9 ივლისს მომკა 24 ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე განალეწმა ხორბალმა 12 ცენტნერი შეადგინა.

მიხეილ საყულაშვილი და **შოთა კაციაშვილი**, რომლებიც საქართველოს კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, გუშინ შეუდგნენ კავთისხევის კოროვის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულის მკას. მ. საყულაშვილი იბრძვის 310 ჰექტარის, ხოლო შ. კაციაშვილი 300 ჰექტარის აღებისათვის. პირველ დღეს კომბაინერმა კაციაშვილმა 20 ჰექტარი მომკა.

17,5 მილიონი მანეთის სასურსათო საქონელი სოფლის მშრომელებს

სოფლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ცეკავშირი სისტემატურად ადიდებს სხვადასხვა სახის სასურსათო საქონლის გამოშვებას.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში გასული წლის ანავე პერიოდთან შედარებით საკონდიტერო ნაწარმის გამოშვება გაიზარდა 147 პროცენტით, ხოლო უალკოჰოლო სასმელებისა — 146 პროცენტით. წლის განმავლობაში ცეკავშირის მრეწველობა გამოუშვებს 1.900 ათას ბოთლ ლიმონათს.

იზრდება ცეკავშირის სასურსათო საქონლის გამოშვება საწარმოთა ქსელი. წელს თბილისში ცეკავშირის ხაზით მოეწყო ძეხვეულის წარმოება, რომელიც უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით, აგრეთვე სათანადო მაცივრით. ეს ახალი საწარმო ამზადებს და სოფლის კოოპერაციულ ქსელს აწვდის ძეხვეულის ნაწარმს. წლის ბოლომდე გამოშვებულ იქნება სულ 1.500 ცენტნერი ძეხვეული.

მაკარონის ნაწარმით სოფლის მონარაგების გასაუმჯობესებლად ცეკავშირს განზრახული აქვს წელს სამტრედიაში მოაწყოს მაკარონის წარმოება, რომელიც დღეღამეში გამოუშვებს 10 ტონამდე მაკარონის ნაწარმს.

კასპის ზღვის სანაპიროზე ცეკავშირს აქვს საკუთარი თევზსაჭერი და გადასამუშავებელი მეურნეობა. წელს ეს მეურნეობა ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო სავაჭრო ქსელს მიაწვდის 200 ტონაზე მეტ თევზის ნაწარმს, რაც შარშანდელზე 80 პროცენტით მეტია.

მიმდინარე წლის განმავლობაში ცეკავშირის სასურსათო საქონლის საწარმოები გამოუშვებენ და სოფლის სავაჭრო ქსელს გაუგზავნიან 17,5 მილიონამდე მანეთის სხვადასხვა სახის სასურსათო საქონელს.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში წელს ხორბლის უხვ მოსავალს იღებენ. **სურათზე:** კოლმეურნეობის ავტოკოლონას მიმღებ პუნქტში მიაქვს პირველი განალეწი მაღალხარისხოვანი მარცვლეული სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად.

ფოტო შ. გოქაძისა.

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა იზაბელა ბლუმს

9 ივლისს კრემლის სვერდლოვის დარბაზში საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის წევრმა ილია ერენბურგმა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადასცა ბელგიის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, პარლამენტის დეპუტატს იზაბელა ბლუმს. საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოსკოვის მშრომელთა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.



„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის გადაცემა ბელგიის საზოგადო მოღვაწე **იზაბელა ბლუმისათვის.** სურათზე: **იზაბელა ბლუმი** პრემიის მიღების შემდეგ ამბობს საპასუხო სიტყვას.

ფოტო ა. **ეგოროვისა.**

ილია ერენბურგმა იზაბელა ბლუმს გადასცა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი და დაახასიათა იზაბელა ბლუმის დიდი და მრავალი წლის ბრძოლა მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. მან გულითადად მიულოცა იზაბელა ბლუმს მაღალი ჯილდო და ახალი წარმატება უსურვა ხალხის კეთილდღეობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტმა ა. გ. მორდვინოვმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის სახელით ზ. ნ. გაგარინამ, მოსკოვის მ. ი. კალინინის სახელობის შალის სართავი ფაბრიკის მუშების სახელით ს. ა. კოტოვამ და საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ი. ცარიოვმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ცნობას იზაბელა ბლუმისათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ საბჭოთა ადამიანები უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ.

ყურადღებით მოისმინეს დამსწრეებმა იზაბელა ბლუმის საპასუხო სიტყვა.

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

★ ★

274.568 ვაგონ-საათის ეკონომია

განვლილი 6 თვის საწარმოო შედეგების მიხედვით ვაგონების ბრუნვის დაჩქარებით სადგურ ნავთლუღ-მეორის კოლექტივმა მიაღწია 274.568 ვაგონ-საათის ეკონომიას.

სადგურის კოლექტივი განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობდა ივნისში. სატრანზიტო ვაგონების მოცდენა ნორმასთან შედარებით 3,4 საათით შეამცირეს, ადგილობრივი ვაგონებისა — 2,6 საათით. მოწინავე შემდგენლები პ. ვაკულენკო და ი. ომელჩენკო უნარიანად იყენებენ გამოჩენილი ნოვატორის, მატარებელთა შემდგენლის კრასნოვის მეთოდს, რომელიც გულისხმობს მატარებელთა გარჩევა-შედგენის ოპერაციების ერთდროულად შესრულებას.

შემდგენლებთან ერთად აღსანიშნავია ვაგონთა გადამზმელის მ. ლეგაშვილის, უფროსი მეისრეების შ. ბერბიჭაშვილის, ი. ომელჩენკოსა და პ. ხანიშვილის კარგი მუშაობა.

ხაშურელ რკინიგზელთა წარმატება

ხაშური. (საკ. კორ.). წელს ხაშურელმა მეელმავლეებმა საუღელტეხილო უბანზე გაატარეს 415 მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 110.058 ტონა ტვირთი. მოპოვებული წარმატებისათვის პირველ ადგილზეა და დეპოს გარდამავალი დროშა აქვს მიკუთვნებული უფროს მემანქანეებს გ. ლაბაძეს, ვასილ და გიორგი აბაიაძეებს და სალოკომოტივო სიგნალიზაციის საამქროს ოსტატს ბ. ლალიაშვილს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში წარმატებებს აღწევენ ხაშურელი მეორთქმლავლეებიც, რომლებმაც 110,5 პროცენტით გაანაღდეს ორთქლმავლების გარბენის ნახევარი წლის დავალება, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 30,6 პროცენტით გაზარდეს და 66.000 კილოგრამი საწვავი დაზოგეს.

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი

10 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, რომელიც ევენევის თათბირზე მიემგზავრება.

აეროდრომზე ჯოუ ენ-ლაის და მის თანმხლებ პირთ შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ა. ნ. კაპუსტინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ნ. კოვალიოვი და სხვ.

ჯოუ ენ-ლაის შეხვდნენ აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიმხე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნგუენ ლონგ ბანგი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს შემადგენლობა სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ვენ ნიენის მეთაურობით. (საკდესი).

საქართველოს მწერლების მოკრიგი ამოცანებიდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ — საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის დელეგატებს. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ აგრეთვე მივესალმო მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს მწერლების ყრილობის მუშაობაში. **(ტაში).**

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა მიმდინარეობს მთელი საბჭოთა ხალხის განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა ხალხისა, რომელიც თავდადებით ახორციელებს ჩვენი პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი განვითარების, ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მკვეთრი ამაღლების გრანდიოზული პროგრამის განხორციელება.

დიდია საბჭოთა ლიტერატურის, საბჭოთა ხელოვნების როლი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვისა და ხელმძღვანელობის მეოხებით საბჭოთა ლიტერატურამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურის მოწინავე ოსტატებმა შექმნეს მრავალი მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ადამიანების საბრძოლო გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში, მუშათა კლასისა და ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის შრომითი ენთუზიაზმი, პატრიოტიზმი და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა ხალხისა, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის გარშემო.

ეს ნაწარმოებნი დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ბევრი მათგანი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მკითხველთა ფართო წრეებში, აგრეთვე კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით უბრალო ადამიანებში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ვ. ი. ლენინი და მისი უკვდავი საქმის განმგრძობი დიდი ი. ბ. სტალინი ყოველთვის განსაკუთრებით ზრუნავდნენ საბჭოთა ლიტერატურისათვის, უდიდეს სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხატვრულ ლიტერატურას.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალი გამოვლინებაა ის აღზრდება, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს დაეთმო პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში მკაფიოდ, ნათლად და კონკრეტულად განსაზღვრა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანები, აღნიშნა, თუ რა ადგილი უკავიათ საბჭოთა მწერლებს კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

საქართველოს მწერლები მთელი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. ქართული ლიტერატურა ვითარდება კლასიკური და საბჭოთა რუსული ლიტერატურის ცხოველმყოფელი ზემოქმედებით, მოძმე სოციალისტური ერების ლიტერატურასთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობისა და თანამეგობრობის პირობებში, ქართველ საბჭოთა მწერლებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი დიდი სამშობლოს სულიერ ფასეულობათა საგანძურში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა ვითარდება მრავალსაუკუნოვანი პროგრესული ქართული კლასიკური ლიტერატურის სახელოვანი რეალისტური, დემოკრატიული და პატრიოტული ტრადიციების ნაყოფიერ ნიადაგზე, ქართული კლასიკური ლიტერატურისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა გენიალური რუსთაველი და ისეთი გამოჩენილი **პროგრესული მოაზროვნეები** და მხატვრები, **როგორიც** იყვნენ დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა ფშაველა.

საქართველოს საბჭოთა მწერლებმა ლიტერატურული შემოქმედების ყველა ჟანრში შექმნეს ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებმაც არა მარტო საბჭოთა მკითხველების, არამედ აგრეთვე უცხო ქვეყნების მკითხველთა დამსახურებული აღიარება და მოწონება მოიხვეჭეს. ქართული საბჭოთა პოეზიის წამყვანი ოსტატების გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის, ა. მაჭავარიანის, ა. აბაშელის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, კ. კალაძის, ი. ნონეშვილის საუკეთესო ქმნილებანი ფართო პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე ყველა მოძმე რესპუბლიკაში, მათ თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მთელი საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

იგივე უნდა ითქვას ცნობილი ქართველი პროზაიკოსების ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ჭელიშვილის, ა. ბელიაშვილის საუკეთესო რომანებისა და მოთხრობების შესახებ.

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოს თეატრებში მუდმივი წარმატებით იდგმება ცნობილი ქართველი დრამატურგის შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან...“, რომელიც ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის გმირული ისტორიის თემაზე. ეს პიესა ასეთივე წარმატებით იდგმება მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების სხვა ქალაქების თეატრებში.

ამ ბოლო დროს საბჭოთა ქვეყნის თეატრების რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ვ. ცარათაშვილის კომედია „ჭრიჭინამ“.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის მიღწევებია ი. მოსაშვილის, ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძისა და ჩვენი სხვა დრამატურგების პიესები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებს მიენიჭა სტალინური პრემია.

ყოველივე ეს მოწმობს ქართული საბჭოთა ლიტერატურის დიდ შემოქმედებითს შესაძლებლობებს, სერიოზულ წარმატებებს, რომლებიც მან მოიპოვა მთელ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით.

მაგრამ ჩვენს ყურადღებას უნდა იპყრობდეს არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი წარმატებანი და მიღწევები, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოვლინება ღა გადალახვა, რომლებიც ახასიათებს როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ისე ქართული ლიტერატურის ახლანდელ მდგომარეობას.

ამხანაგებო! მწერალთა ეს ყრილობა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ ეს ყრილობა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყოს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, საჭიროა ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ ყველა ის იდეურ-შემოქმედებითი საკითხები, რომლებიც აღელვებენ მწერალთა საზოგადოებრიობას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით გამოვავლინოთ ჩვენი ლიტერატურის ნაკლოვანებანი, მწვავედ, პრინციპულად გავაკრიტიკოთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საქმიანობა, ცალკეული მწერლების მუშაობა, მივაჩვიოთ ისინი მოეკიდონ კრიტიკას შემწყნარებლურად.

თუმცა ახლა ერთგვარი გამოცოცხლებაა მწერალთა შემოქმედებითს მუშაობაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აი უკვე ათ წელზე მეტია გრძელდება ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის სრულიად შეუწყნარებელი ჩამორჩენა, მაშინ როცა გვყავს ბევრი ნიჭიერი პროზაიკოსი, რომლებსაც სოლიდური შემოქმედებითი გამოცდილება აქვთ.

ჩვენ ვერ დავასახელებთ ქართული მხატვრული პროზის ვერც ერთ დიდ ნაწარმოებს, რომელშიც მართლად იყოს ასახული ქართული საკოლმეურნეო სოფლის სისხლსავსე ცხოვრება. დღემდე ქართულ პროზაში ჩვეხ არა გვაქვს დიდი, ნამდვილად მხატვრული ნაწარმოებნი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის შესახებ, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ, ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის, კომკავშირის ცხოვრების შესახებ, საბჭოთა სკოლის შესახებ, პიონერთა ორგანიზაციის შესახებ და სხვ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი საბჭოთა პროზაიკოსების მიერ დაწერილი ისტორიული რომანების უმრავლესობა მართლად არ აშუქებს ისტორიულ მოვლენებს. ჩვენი მწერლების ყურადღების ცენტრში, რომლებიც ისტორიულ თემებს მიმართავენ, არის არა ხალხი, რომელიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედია, არამედ მეფეები და დიდებულები, საერო და სასულიერო არისტოკრატიის წარმომადგენლები. ხშირად ისინი რომანტიზებული და იდეალიზებული არიან, ხოლო წარსულის იდეალიზაცია, როგორც ცნობილია, ნაციონალიზმის, მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. წარსულის შემეცნება მთლიანად და სავსებით უნდა ემსახურებოდეს აწმყოსა და მომავალს. წარსულის საუკეთესო მაგალითებით უნდა ვზრდიდეთ ჩვენს ახალგაზრდობას.

რა თქმა უნდა, ნათქვამიდან სრულიადაც **არ** გამოდის, რომ ქართველი პროზაიკოსები გულხელდაკრეფილი სხედან და არაფერს არ აკეთებენ. უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში გამოქვეყნდა ბევრი კარგი მოთხრობა; დაიწერა რამდენიმე რომანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის საერთო მდგომარეობა სულაც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

არ შეიძლება აგრეთვე არ შევეხოთ ისეთ პრაქტიკას, როცა ჩვენში აქვეყნებენ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ, დაუმუშავებელ ნაწარმოებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენს ჟურნალი „მნათობი“. ამ ჟურნალის რედაქციამ და ჩვენმა საგამომცემლო ორგანიზაციებმა დროა შეიგნონ, რომ საბჭოთა ადამიანების გაზრდილი სულიერი მოთხოვნილება და ესთეტიკური გემოვნება ვერ მიიღებს ყოველგვარ ლიტერატურულ ნედლეულს და ამიტომ ბოლო უნდა მოვუღოთ დაუმთავრებელ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას.

ქართული მხატვრული პროზის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი წამყვანი პროზაიკოსები, როგორც ჩანს, დამშვიდდნენ, კმაყოფილდებიან წარსული სახელით, მიღწეული წარმატებებით და ახლა განცხრომას ეძლევიან.

პირდაპირ უნდა ითქვას, — დაე ეს საწყენი იყოს, მაგრამ ეს სიმართლეა, თუმცა მწარე, ისინი ეს მწერლები, მთელი თავისი შემოქმედებითი ძალებითა და შესაძლებლობით აღარ მუშაობენ. ზოგიერთი ჩვენი თვალსაჩინო მწერალი უფრო მეტად ზრუნავს თავის ძველი წიგნების ხელახლა გამოცემაზე, ვიდრე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნების შესაბამის ახალ ნაწარმოებთა შექმნაზე.

ამხანაგებო, პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენი პროზაიკოსები საკმაო ყურადღებას არ იჩენენ ჩვენი სინამდვილის შესწავლისადმი, ხოლო ის, რომ ცხოვრებას არ იცნობენ, დამღუპველ გავლენას ახდენს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ დონეზე. ზოგიერთი ნაწარმოების სერიოზული მანკიერება სწორედ იმით აიხსნება, რომ მწერალი სინამდვილეს არ იცნობს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება წარმოსახულია გაღარიბებულად, ხოლო მეორე შემთხვევაში არ ჩანს სიძნელენი და ნაკლოვანებანი, ყველაფერი შელამაზებულია. ერთიც და მეორეც საზიანო და მიუღებელია.

ცხოვრებას უნდა ვხედავდეთ, ამხანაგებო, ცხოვრებას უნდა ვსწავლობდეთ, მაშინ, აქვე ვიტყვი, ნაწარმოებში ცხოვრების კონფლიქტიც გაჩნდება, მისი გამოგონება აღარ დაგვჭირდება.

თქვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ამხანაგო მწერლებო, ის არის, რომ შემოქმედებითად გადაწყვიტოთ ინდუსტრიული შრომის თემები, სრულად წარმოსახოთ საბჭოთა მუშა, რომლისთვისაც შრომა ღირსების, სახელისა და გმირობის საქმე გახდა.

მე ვესაუბრე პროპაგანდისტებს, ვკითხე, იყვნენ თუ არა რუსთაველში. თურმე არ ყოფილან. ხოლო როგორ შეიძლება გააშუქო საბჭოთა სინამდვილე, დარაზმო ადამიანები უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად, თუ მგზნებარედ, გატაცებით, გასაგებად არ დააჯერებ მათ ამ სინამდვილის ცოცხალი მაგალითებით. როგორ შეიძლება სწერო, თუ ცხოვრებას არ იცნობ? როგორ შეიძლება ასწავლო სოფლის მეურნეობა, თუ ყოველდღიურად თვალს არ ადევნებ ამ მეურნეობის განვითარებას?

ქართველ მწერალთა საზოგადოებრიობის უპირველესი მოვალეობაა აღმოფხვრან მხატვრული პროზის ჩამორჩენა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა უახლოეს დროში სათავეში ჩაუდგეს პროზაიკოსთა შემოქმედებითს აქტივობას, დაეხმაროს მათ, წარმართოს მათი შემოქმედებითი ენერგია თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური პრობლემების გასაშუქებლად. ამასთან საჭიროა უფრო აქტიურად დავაწინაურეთ და მხარი დავუჭიროთ ახალგაზრდა პროზაიკოსებს, შევუქმნათ მათ შემოქმედებითი ზრდისა და სრულყოფის ყველა პირობა.

თუმცა ამ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა დრამატურგიას დაეტყო გამოცოცხლება, მაგრამ ჩვენი თეატრები კვლავ განიცდიან ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე დაწერილი სრულფასოვანი პიესების მწვავე ნაკლებობას. ყბადაღებულმა უკონფლიქტობის თეორიამ, რაც პარტიამ დაგმო, სერიოზული ზიანი მიაყენა ქართულ დრამატურგიასაც.

ამ უკანასკნელ ხანს, პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ უფრო გაბედულად წარმოსახონ მხატვრულ ნაწარმოებებში ცხოვრების კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, ქართველმა დრამატურგებმა დაწერეს მთელი რიგი პიესები, რომლებშიც გამათრახეულია ცალკეული მანკიერი მოვლენები და უარყოფითი ტიპაჟი, რაც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ეს პიესები მოწმობენ იმას, რომ ყველა ჩვენმა დრამატურგმა როდი გაიგო სწორად პარტიის, ხალხის მოთხოვნების არსი. ამის შედეგად მთელ რიგ ახალ ქართულ პიესებში დამახინჯებულია ჩვენი სინამდვილე, მრუდედ არის წარმოსახული საბჭოთა საზოგადოების განვითარების პროცესები.

აქ სიტყვა წარმოთქვა ამხ. გაბესკირიამ. მე მსურს შევეხო მის აქ გამოსვლას და მის პიესას „უფსკრულთან“.

ამხ. გაბესკირია ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში იცავდა იმ აზრს, რომ მწერალს უფლება აქვს წარმოსახოს თავის ნაწარმოებებში სევდა, მწუხარება, ჭმუნვა. ამის დასადასტურებლად მან მოიყვანა მაგალითები ტვარდოვსკის პოემიდან „ვასილ ტიორკინი“ და ა. სურკოვის ლექსიდან „მეომრის ბეგობარი ქალი“. რამდენი სევდიანი სცენაც უნდა იყოს პოემაში „ვასილ ტიორკინი“, ეს ნაწარმოები დიდი ოპტიმისტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული, იგი ჩვენი დიადი მრავალეროვანი ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებია საბჭოთა ჯარისკაცის შესახებ. მეორე ასეთი პოემა ჯერ არ დაწერილა. ეს პოემა სწორედ იმით არის ძლიერი, რომ განამტკიცებს საბჭოთა ადამიანის საბრძოლო სულისკვეთებას, ეხმარება მას დაძლიოს ყოველგვარი სევდა. მაგრამ უჩვენეთ პიესა „უფსკრულთან“ ომიდან დაბრუნებულ მეომარს, რომელსაც არა ერთხელ გაუსწორებია თვალი საკვდილისათვის. თანახმა იქნება თუ არა ეს მეომარი სცენაზე ნახოს თავისი დაღუპული ფრონტელი მეგობრის შვილის სიკვდილი, მით უმეტეს, თუ ეს სიკვდილი პიესაში გამართლებული არ არის არც იდეურად, არც მხატვრულად, თუ ეს სცენა ავტორს მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ სევდის გრძნობა აღუძრას მაყურებელს? უნდა გვიჩვენოთ სევდის დაძლევა, სევდის დემონსტრაცია საჭირო არ არის. სევდის ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია როდია. ი. ბ. სტალინი, უპასუხებდა რა ცნობილ მწერალ დემიან ბედნის, 1924 წელს წერდა: „ძალიან კარგია, რომ თქვენ „ხალისიანი განწყობილება“ გქონიათ. „მსოფლიო სევდის“ ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის. დაე ისევდიანონ. მიმავლებმა და დრომოჭმულებმა“. **(ტაში).** გაბესკირიას პიესაში არ არის ხალისიანი განწყობილება. არც მოქმედ პირებს, რომელნიც უსამართლობას აწყდებიან, არც მაყურებელს, თუ მან დაიჯერა პიესის ლოგიკა, არ რჩება რწმენა, რომ სევდა და მწუხარება დაძლეულ იქნება. სურკოვის ლექსის მაგალითიც გაბესკირიას კონცეფციას ეწინააღმდეგება, როდი ადასტურებს ამ კონცეფციას.

მე მგონია, რომ ამხ. გაბესკირია ამ კრიტიკას — პარტიულ კრიტიკას — მიიღებს.

კრიტიკის ამოცანა ის კი არ არის, რომ ვაძაგოთ ადამიანი, წერის ხალისი დავუკარგოთ მწერალს. პირიქით, კრიტიკის ამოცანაა დაეხმაროს მწერალს შეიგნოს თავისი შეცდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კულტურის სამინისტრომ და მისმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, დღემდე ვერ შეძლეს შემოქმედებითი კონტაქტი დაემყარებინათ თეატრებსა და დრამატურგებს შორის, ხოლო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ვერ უზრუნველყო ახალი პიესებისა და საბჭოთა დრამატურგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვალიფიციური შემოქმედებითი განხილვა.

მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ სერიოზულად ჩამორჩება საბავშვო ლიტერატურა, კომუნიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი. მწერლები დიდ ვალში არიან ბავშვების წინაშე. ჩვენ არა გვაქვს მნიშვნელოვანი წიგნები, დაწერილი მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე, ცოცხალი, საინტერესო წიგნები, რომლებიც იტაცებს მკითხველს. ასეთ მდგომარეობას ვეღარ შევურიგდებით. ჩვენს საუკეთეაო მწერლებს თავიანთ სპატიო მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბავშვო ლიტერატურის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ამხანაგებო! ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. სანამ ეს მეგობრობა არსებობს, გვასწავლიან ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი, ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტერი — არც შინაური, არც გარეშე.

აქედან ცხადია, რომ ხალხთა მეგობრობის თემას თვალსაჩინო ადგილი უნდა ეკავოს ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეა არის ქართული ლიტერატურის შთამაგონებელი თითქმის მისი წარმოშობიდანვე, მაგრამ ეს იდეა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, ეს თემა უფრო ღრმა ასახვას მოელის და ჩვენმა მწერლებმა ღირსეულ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ იგი.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საიმედო ბურჯია. საბჭოთა ადამიანები, რომელნიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით.

ნაწარმოებნი მშვიდობის, მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე უნდა იყოს ქმედითი, აქტიური, შეტევითი. მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზეა დაწერილი ქართველი საბჭოთა პოეტების მთელი რიგი კარგი ლექსები, მაგრამ ქართველ მწერლებს ჯერ არ შეუქმნიათ დიდი მხატვრული ნაწარმოებნი ამ თემაზე.

რუსთავის მეტალურგები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაკები, აჭარისა და აფხაზეთის მეჩაიეები, ქალაქისა და საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები, რომელნიც თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, — აი მშვიდობისათვის ბრძოლის თემების მხატვრულ ნაწარმოებთა ნამდვილი გმირები.

რამდენიმე სიტყვა მხატვრული თარგმანის დარგში მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ცნობილია, რომ შესანიშნავმა რუსმა პოეტებმა, მთარგმნელებმა და ლიტერატურის სხვა მოღვაწეებმა უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ფართო პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში ჭეშმარიტად დიდია ამხანაგების ტიხონოვის, ზაბოლოცკის, ანტოკოლსკის, პასტერნაკის, მეჟეიროვის, გოლცევისა და სხვების დამსახურება. იგივე უნდა ითქვას შესანიშნავ უკრაინელ მწერალ მიკოლა ბაჟანსა და საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა ლიტერატურის ბევრ სხვა დიდ ოსტატზე. ამხანაგებო, ნებას მივცემ თავს გულითადი მადლობა გამოვუცხადო ყველა ამ ამხანაგს მათი კეთილშობილური შემოქმედებითი ღვაწლისათვის. განსაკუთრებით მსურს მადლობა გადავუხადო ამხ. ზაბოლოცკის ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ვაჟა ფშაველას თხზულებათა მშვენიერი თარგმანისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა წამყვანი ქართველი საბჭოთა პოეტი და მწერალი როდი ითვალისწინებს მხატვრული თარგმანის საქმის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას. საკმარისია ითქვას: დღემდე ისიც ვერ მოხერხდა, რომ ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატებს მიეღოთ მონაწილეობა ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნაში, მაიაკოვსკისა, რომელიც ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან.

ამხანაგებო! ლიტერატურის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი ფაქტორია კრიტიკა და თვითკრიტიკა. ლიტერატურული კრიტიკა უნდა იყოს აქტიური, გაბედული, პრინციპული, მკვეთრი, მაღალიდეური და ობიექტური. ლიტერატურულმა კრიტიკამ აქტიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს მთელ ლიტერატურულ პროცესზე, მან აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი და ფართოდ გაუწიოს პროპაგანდა ყოველივე ჯანსაღსა და მოწინავეს ლიტერატურაში, დროზე გამოავლინოს და ულმობლად აღმოფხვრას შეცდომები და ნაკლოვანებანი. ულმობლად — ეს ცემასა და შეურაცხყოფას როდი ნიშნავს, — ეს იმას ნიშნავს, რომ მკაფიოდ, ნათლად, კონკრეტულად ვილაპარაკოთ ამ ნაკლოვანებებზე, ხელი შეეუწყოთ მათ აღკვეთას.

სწორი არ არის, როცა კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ქართული საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებზე მუშაობენ ჩვენი დიადი სამშობლოს მომძმე ხალხთა ლიტერატურებს მოწყვეტით. ჩვენი ლიტერატორები ღრმად უნდა სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურას, სწავლობდნენ დიდი რუსი ხალხის ლიტერატურის მაგალითით.

გაიხსენეთ, რას ამბობდა რუსულ ლიტერატურაზე, მის კეთილნაყოფიერ ზემოქმედებაზე დიდი ქართველი მწერალი და თავისი დროის მოწინავე ადამიანი ილია ჭავჭავაძე. იგი ამბობდა: „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი გასათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“. **(ტაში).**

ამხანაგებო! უნდა ითქვას, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების ბეჭდვით ორგანოში — ჟურნალ „მნათობში“ დიდი ხანია აღარ იბეჭდება პრინციპული, მწვავე ლიტერატურულ-კრიტიკული და პოლიტიკური სტატიები. ძალიან იშვიათად ვხვდებით საინტერესო, შინაარსიან ლიტერატურულ და პოლიტიკურ სტატიებს „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზეც.

ლიტერატურის საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ არც ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ და ჩვენი რესპუბლიკური გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

ჩვენში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ არის აგრეთვე კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა და მარქსისტულ-ლენინური გაშუქება. საკმარისია ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს ჯერ არ შეუქმნიათ ნამდვილი მეცნიერული მონოგრაფია რუსთაველის შესახებ, არ დაუმუშავებიათ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და სხვების მსოფლმხედველობის ძირითადი პრობლემები.

ბევრი ჩვენი ლიტერატურათმცოდნე გაურბის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი, აქტუალური საკითხების პრინციპულ განხილვას. ზოგიერთი მწერალი არ ცნობს კრიტიკას.

უნდა შეეხო ამხ. შენგელაიას გამოსვლას. რატომ ასე ამხედრდა იგი ამხ. დრუზინის წინააღმდეგ, რომელმაც, მუშაობს რა ლენინგრადში, კეთილსინდისიერად, პარტიულად წაიკითხა ქართველი მწერლების რამდენიმე ნაწარმოები, პარტიულად შეაფასა ისინი და გამოვიდა აქ? დ. შენგელაიას გამოსვლა არსებითად ხომ იმით ამოიწურა, რომ იგი იცავდა „მწერლის უფლებას აკეთოს შეცდომები“ და უჩიოდა კრიტიკას, რომელიც თითქოს ართმევდეს მას ამ უფლებას. ეს სრულიად მცდარი თვალსაზრისია.

სამწუხაროდ, ჩვენი კრიტიკა ჯერ არ ამაღლებულა იმ დონემდე, რომ აღკვეთოს მწერალთა შეცდომები, ხელი შეუწყოს ასეთი შეცდომების თავიდან აცილებას. ასეთი კრიტიკა ჯერ არა გვაქვს.

ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელთა და ჯაშუშთა ბანდამ, რომლებიც ამხილა და უვნებელყო ჩვენმა პარტიამ. ბევრი მოწინავე, პროგრესული მეცნიერი დაღუპა ამ ბანდამ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით, არკვევს თუ როგორ დასწამეს ცილი, დასდეს მსჯავრი, შეურაცხყეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები, არკვევს, რათა თუნდაც სიკვდილის შემდეგ დაუბრუნოს მათ პატიოსანი სახელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ კაცისმკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტირებული არიან. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლები ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას, შექმნიან მაღალიდეურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც ასახული იქნება ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა და ცხოვრება. **(ხანგრძლივი ტაში).**

სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი

ორი მტს-ის მაგალითი

ცივგომბორის მთებიდან თვალწარმტაცად მოჩანს ალაზნის ველი და მისი ოქროსფრად მოლივლივე ყანები. ჯერ კიდევ ამ ორიოდე დღის წინათ იგი ნაირფერად მოქარგულ ხალიჩას გავდა. შორიდან ადვილი შესამჩნევია შემოსული და შემოსასვლელი თავთავი. მაგრამ ახლა, როცა ზაფხულის ცხელი დღეები დადგა, მზის მცხუნვარე სხივებმა გააერთფეროვნა პურის ყანები, მომწიფებული თავთავები ძირს დახრილან და სიოს ქროლვაზე შრიალებენ.

ახალ მოსავალს მომზადებული შეხვდნენ მოწინავე კომბაინერები, ტრაქტორისტები. წნორის მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი ვ. ჯავაშვილი) ვადაზე ადრე დაამთავრა მანქანების რემონტი. კომბაინების აგრეგატები კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტეს, შეადგინეს გეგმა-მარშრუტი. წელს ვადამდე დაამთავრეს ქერის აღება, მასობრივად გაჩაღეს პურის ყანების მკა, პირველ 7 დღეში 1.743 ჰექტარზე აღებული ხორბლიდან 3.018 ტონა გალეწეს და ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ალაზნის ვრცელი მინდვრებიდან ზაგოტზერნოს წნორის პუნქტისაკენ ყოველდღიურად მიჰქრიან ხორბლით დატვირთული ავტომანქანები, რომლებსაც ამშვენებს წითელ არშიებზე წარწერილი სიტყვები: „პირველი განალეწი მარცვლეული სამშობლოს“.

კომბაინერები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს 5.300 ჰექტარზე მოსავალი 18 სამუშაო დღეში აიღონ. გაჩაღდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, საბრძოლო ფურცლები ამხილებენ ნაკლოვანებებს, მექანიზატორთა რაციონალიზატორული წინადადებებით უმჯობესდება შრომის პროცესები, იყენებენ ნოვატორთა მეთოდებს ჩაწოლილი პურეულის ასაღებად, ფერდობებზე ყანების გასაჭრელად. ვ. ინაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინზე ახალი ტიპის მარცვალსაჭერი მოაწყო. ამით მიაღწია ყოველ ჰექტარზე 6 ფუთი დანაკარგი მარცვლის შეგროვებას. მის შრომითს საგმირო საქმეებზე მეტყველებენ ყოველდღიური მაჩვენებლები—დღეში იგი 30 ჰექტარს მკის და ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ პურს ლეწავს.

აგრეგატების კომბაინერები მ. კაკაშვილი, ზ. ხელაშვილი, ლ. კუპრეიშვილი, ა. ჯავაშვილი, ი. პავლიაშვილი მოსავლის აღების საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან. კომკავშირული აგრეგატის კომბაინერი ნიკო ალადაშვილი ყოველდღიურად მკის 12-15 ჰექტარს და თვითეულ ჰექტარზე მარცვლის გამოსავლიანობა 24 ცენტნერს შეადგენს.

მექანიზატორთა საუკეთესო კადრები ჰყავთ ალაზნის მტს-შიც. აქ კომბაინების რემონტი დროულად დაამთავრეს, მაგრამ ზოგი ცუდად შეაკეთეს, ამიტომ მკის დაწყების პირველ დღეებში კომბაინების მუშაობაში შეფერხებები იყო, მტს-ის ხელმძღვანელობამ (დირექტორი პ. გელაშვილი) მოსავლის აღების წინ ცუდად შეამოწმა ყანების მდგომარეობა, კომბაინები სამუშაოდ სველ ნიადაგზე გაუშვეს, რის გამო მიწაში ეფლობოდნენ.

ზოგიერთი კოლმეურნეობა მოუმზადებელი შეხვდა მოსავლის აღებას. მოუწყობელია კალოები, დაბალია შრომის დისციპლინა. კომბაინები ვერ უზრუნველყვეს ტრანსპორტით. ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ორ ბრიგადაში, სადაც ბრიგადირებად დ. ყაჯრიშვილი და შ. კაკაშვილი არიან, მილარის ფართობებში მოსავლის აღება 23 ივნისს დაიწყეს და 5 ივლისამდე მხოლოდ 250 ჰექტარზე შეძლეს პურეულის აღება. აქ 7 კომბაინი მუშაობს, მათი უმრავლესობა დღიურ ნორმებს ვერ ასრულებს. პარტბიუროს მდივანმა ილია მიქაშვილმა ცუდი მუშაობა კომბაინებს გადააბრალა, მანქანები მოძველებულია. უფრო მეტად „კომუნარებს“ ემდუროდა, მაგრამ ვარაუდში მოტყუვდა. ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ: ერთსა და იმავე ფართობში სამი „კომუნარი“ მუშაობს. აქ ანდრია უსაჩოვი თუ ყოველდღიურად 9 ჰექტარზე იღებს მოსავალს, მოსე კანდელაკიშვილი და პართენ იაკობიშვილი 4-5 ჰექტარსაც ძლივს აღწევენ. ვასილ ონოფრენკოს აგრეგატი გეგმებს აჭარბებს. რაშია საიდუმლოება? ეს არ აინტერესებს პარტბიუროს მდივანს და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს მიხეილ ტუხაშვილს, რომელიც ამ ზონაზეა მიმაგრებული. თავს არც მტს-ის დირექტორი პ. გელაშვილი იწუხებს, უსაჩოვისა და ონოფრენკოს აგრეგატში შრომა კარგად არის მოწყობილი, აგრეგატი ღამითაც მუშაობს. აქ საუკეთესოდ აქვთ მოწყობილი კომბაინების ტექნიკური მოვლა, რაც მანქანების წარმადობის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ცუდად მუშაობს მძრავი სახელოსნო, საჭირო რაოდენობით არა აქვთ სათადარიგო ნაწილები. თავთავალ კომბაინს, რომელსაც მ. მჭედლიშვილი მართავს, კბილანა გაუტყდა, მოძრავმა სახელოსნომ ვერ შეძლო მისი შეკეთება, შემდეგ მტს-ის სახელოსნოში წაიღეს და იქ ერთ დღეს მოუნდნენ მის შეკეთებას. ხშირია მექანიზმების დამტვრევის შემთხვევები, რაც იმით არის გამოწვეული, რომ კომბაინერებმა წინასწარ არ შეისწავლეს სამუშაო ფართობის რელიეფი, ყანების ერთი ნაწილი ქვა-ღორღით არის სავსე, მისი გაწმენდისათვის კი არავის უზრუნია.

აღმაშფოთებელია ისიც, რომ აქ ასეული ტონობით არის გალეწილი ხორბალი, ხოლო სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას აგვიანებენ.

ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადაში, სადაც ბრიგადირად გ. ყაჯრიშვილია, კალო პრიმიტიულად არის მოწყობილი. იგი დაქანებულ ფერდობზეა მოთავსებული, მოსალოდნელი ნიაღვრებისაგან დაუცველია, თვით კალო არ დაუტკეპნიათ და ისეა გაფხვიერებული, რომ შიგ ფეხი ეფლობათ. რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ხორბალი დანაგვიანდეს. კალოებზე პირველ დღეებშივე 600 ტონამდე ხორბალი დაუხვავებიათ, ადგილი აღარა აქვთ. საკვირველია, რატომ არ შეაქვთ პური საწყობში, რომელიც სამიოდე ნაბიჯზეა? აქ მექანიზმების გამოყენებას მარცვლის ხელით გაწიავება არჩიეს. დაბალია შრომის დისციპლინა, ბრიგადის 66 კოლმეურნიდან მკის ამ დაძაბულ დღეებში სამუშაოდ მხოლოდ 35 გამოდის. ჩაშლილია საგიტაციო მუშაობა, არ უშვებენ საველე გაზეთებს, პარტბიუროს მდივანმა აგიტატორად ექიმის თანაშემწე მარო ტუხაშვილი დაასახელა. ტუხაშვილმა კი გაიკვირვა, პირველად მესმისო. ნაკლებად იბრძვიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. მინდვრად ბევრი თავთავია დატოვებული, ერთ კვადრატულ მეტრზე სამი თავთავი აღმოჩნდა, რაც მნიშვნელოვან დანაკარგს იძლევა.

მსგავს ფაქტებს მტს-ის ზონის სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით, ზოგან ხორბლის წმენდა მამაპაპური წესით წარმოებს, საწმენდი მანქანები — „ვიმები“ კი ტრაქტორების უქონლობის გამო გაუჩერებიათ. 4 ივლისს ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. კობაიძე) მემინდვრეობის მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი შ. გივიშვილი) 45 შრომისუნარიან კოლმეურნიდან მხოლოდ 15 კაცი გამოსულიყო სამუშაოდ და ისინიც ჩრდილში წამოწოლილიყვნენ, მაშინ როცა კალოზე 350 ტონა გასაწმენდი ხორბალი იყო. ნამჯის შეგროვებაზე ორი ერთმანეთზე გადაბმული ტრაქტორი მუშაობს. ხშირად ხან ერთი ჩერდება, ხან მეორე. ამავე კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი ილია იაკობიშვილი სუსტი ორგანიზატორია, ცდილობს ყველა საქმე თვითონ გააკეთოს—ნამჯის შეგროვებაზე მუშაობს, ხშირად მეურმეა, სხვების ნაცვლად ხორბალსაც ანიავებს, მის ბრიგადაზე მიმაგრებული კომბაინების ნორმალური მუშაობა ფერხდება. ბუნკერებიდან აგვიანებენ ხორბლის განტვირთვას მეურმეების უყოლობის გამო.

კოლმეურნეებმა სამართლიანი საყვედური გამოთქვეს სიღნაღის რაიონის კოოპერაციულ კავშირზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუფიქრებია მინდვრად გასვლა. მექანიზატორები პაპიროსის ან პროდუქტების საყიდლად 10 კილომეტრზე დადიან. ამ ზონაში მოძრავი სავაჭრო ფარდულების მოწყობაზე კი არავინ ზრუნავს.

მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება, პურეულის უდანაკარგოდ აღება, პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულება — ასეთია სიღნაღის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე. **სურათზე:** კოლმეურნეები მარცვლეულით ტვირთავენ ავტომანქანას მიმღებ პუნქტში გასაგზავნად.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

გაზეთების ფურცლებზე

სტუმრად უკრაინელ მეგობრებთან

უკრაინის სსრ ბელოზერსკის რაიონისა და ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები კარგა ხანია ერთმანეთს ეჯიბრებიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა შეჯიბრება, რომელიც ყოველწლიურად ფართოვდება, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობის მკაფიო გამოვლინებას.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულის დღეებში ბათუმის რაიონის მშრომელთა დელეგაცია ეწვია ბელოზერსკის რაიონს, სადაც მონაწილეობა მიიღო ღირსსახსოვარი თარიღისადმი მიძღვნილ ზეიმში.

უკრაინაში გატარებულმა დღეებმა ბათუმის რაიონის მშრომელთა დელეგაციის წევრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ამ შთაბეჭდილებაზე მათ რაიონის მშრომელებს მოუთხრეს ბათუმის რაიონულ გაზეთ **„კოლმეურნის გზის“** ფურცლებზე. გაზეთში დაბეჭდილია კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის შ. მაკარაძის, ზუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის ჯ. მუთიძის, მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის დ. ტუღუშის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაიეს ა. პერშინას წერილები. ისინი რაიონის მშრომელებს მოუთხრობენ ბელოზერსკის რაიონის მიღწევებზე, იმ სტუმართმოყვარულ და გულთბილ შეხვედრებზე, რაც მათ მოუწყეს ბელოზერსკელმა მეგობრებმა. დელეგაციის წევრები უკრაინაში ყოფნის დროს გაეცნენ ბელოზერსკის რაიონის მშრომელთა ცხოვრებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, დაათვალიერეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ბელოზერსკელმა მეგობრებმა ქართველ სტუმრებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

უკრაინელ მეგობრებთან სტუმრად ყოფნით აღფრთოვანებული [illegible] რაიონის [illegible] მშრომელთა [illegible] ბენ კვლავაც თავდადებით იშრომონ ბელოზერსკელ კოლმეურნეებთან გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ვენახები ზილიჩის ველზე

ზილიჩის ველი შირაქში მრავალი ათეული წლის მანძილზე აუთვისებელი იყო. მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების პირობებში გახდა შესაძლებელი ამ ნოყიერი მიწების ჩაყენება ხალხის სამსახურში, როცა წითელწყაროელმა მექანიზატორებმა ზილიჩის ველზე მრავალი წლის განმავლობაში ხელუხლებელი მიწა გადმოაბრუნეს, სიღრმეში ქვევრები, ვაზისა და ბროწეულის ნაშთები, აგრეთვე ნასოფლარები აღმოაჩინეს. ამან დიდი ინტერესი გამოიწვია კოლმეურნეებში, ისინი აქ რამდენიმე წლის წინათ შეუდგნენ ვენახების გაშენებას.

როგორც წითელწყაროს რაიონული გაზეთი **„ახალი შირაქი“** წერს, ძველ ნამამულარზე კარგად გაიხარა რქაწითელის ჯიშის ვაზმა, რომელიც კარგ მოსავალსა და კარგ ღვინოს იძლევა.

არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ზილიჩის ველზე 8,4 ჰექტარი ვენახი გააშენა, რომლისაგანაც წელს უხვ მოსავალს მოელიან. შარშან მათ აქ პირველად მოკრიფეს 880 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეები დარწმუნდნენ, რომ ამ ველზე ვაზი კარგად ხარობს, ნაყოფსაც კარგს იძლევა. წელს ძველ ვენახებს 8 ჰექტარი ახალი ვენახი კიდევ მიემატა.

ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ზილიჩის ველზე 30 ჰექტარი ახალშენი ვენახი აქვს, რომლის 10 ჰექტარიდან წელს პირველად მოელიან მოსავალს. ქვემოქედელებს კი გაშენებული აქვთ 13,5 ჰექტარი ვენახი. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს ზილიჩის ველზე 40 ჰექტარი ვენახი გააშენონ და კარგი დამუშავებით ყურძნის მაღალი მოსავალი მოიყვანონ.

სოხუმის თეატრის გასტროლები

გუშინ, 10 ივლისს, თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში გასტროლები დაიწყო სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა კოლექტივმა.

თეატრმა პირველ წარმოდგენად თბილისელ ვაყურებელს უჩვენა ნაზიმ ჰიქმეთის დრამატული პოემა „ლეგენდა სიყვარულზე“ (თარგმანი დ. გაჩუჩილაძისა).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ფელიძეს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპიაშვილს, მუსიკა — სტალინური პრემიის ლაურეატს დ. თორაძეს.

მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ს. გამრეკელი და მ. გაგნიძე, მსახიობები ი. დონაური, ს. ყანჩელი, ფ. შედანია, ზ. ლაფერაძე, ნ. მიქაშავიძე, ვ. ნინიძე, ი. კალანდაძე, აკ. ბოკუჩავა, გ. რევაზიშვილი, მ. გელია, ი. წერეთელი და სხვები.

სპექტაკლს წარმატება ხვდა.

დღეს მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება მ. მრეველიშვილის „ნ. ბარათაშვილი“. სპექტაკლში პოეტის როლს შეასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ზ. ლაფერაძე, ეკატერინე ჭავჭავაძის როლს — ს. ყანჩელი.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა შეაჯამა სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები და დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადაუდებელი ამოცანები. კაჩრეთის რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები უდიდესი აღფრთოვანებითა და პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით შეუდგნენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას. თავდადებულმა და დაძაბულმა შრომამ სასიხარულო შედეგები გამოიღო.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს გადამწყვეტი როლი ეკუთვნით საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების, მექანიზმების მთელი სიმძლავრით გამოყენების საკითხებს. რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა გასწია მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების განსამტკიცებლად კვალიფიციური ჟუშაკებით, მტს-ებში შეიქმნა მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრები. დამატებით გაგზავნა და უშუალოდ კოლმეურნეობებში მუშაობს 25 აგრონომი და ზოოტექნიკოსი. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად დაწინაურებული არიან საქმის მცოდნე ადამიანები. ამჟამად 19 კოლმეურნეობის თავმჯდომარეთაგან უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს 18-ს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო განათლებით არის 10. მკვეთრად გაუმჯობესდა კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების გამგეთა და საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. მეცხოველეობის ფერმების გამგეთა 55 პროცენტი და საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელთა 60 პროცენტი საშუალო და რვაწლიანი განათლებით არის. წელს ბრიგადირებად პირველად მუშაობს 12 აგროტექნიკოსი და მეცხოველეობის ფერმების გამგეებად — 5 ზოოტექნიკოსი.

კაჩრეთელმა კოლმეურნეებმა განსაკუთრებული თავდადებით იმუშავეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. ნათესები კარგად არის მოვლილი. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ხორბლის, ქერის, შვრიის, სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილის, ზოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და ნთესი ბალახების მაღალ მოსავალს მოელიან.

უხვი მოსავლის მოყვანა უზრუნველყოფილია იმით, რომ რაიონის კოლმეურნეობებში მტკიცედ და ზუსტად განხორციელდა აგროტექნიკური ღონისძიებანი. ცნობილია, რომ კაჩრეთის რაიონში სარწყავი ფართობები ძალიან მცირეა. ამასთან თითქმის ყოველ წელიწადს ნათესები ძლიერ ზიანდება ქარცხისაგან. მაგრამ წელს, მიუხედავად იმისა, რომ არც ქარს, არც სეტყვას, არც გვალვას ხელი არ დაუკლია, ეს დაბრკოლებანი დაძლეულ იქნა აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელებით. როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები აგროტექნიკურ ვადებში დაითესა და დამუშავდა. 1953 წლის შემოდგომაზე ხორბლის თესვის დავალება 100,7 პროცენტით შესრულდა. თესვის ჩატარებამდე და თესვის დროს 13.000 ჰექტარზე სრული დოზით შეტანილ იქნა მინერალური სასუქები. გაზაფხულზე ხორბლის ნათესები გამოკვებეს მინერალური სასუქებით, დაფარცხეს და გამარგლეს.

საკოლმეურნეო მინდვრებზე პურეულის უხვი მოსავალი დამწიფდა. ვვარაუდობთ, რომ 12.500 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ აღებული იქნება სულ მცირე 20 ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა. ამ ვარაუდს გადაჭარბებით ამართლებს ფაქტიური შედეგები. მაგალითად, სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე აღებულია 30,2 ცენტნერი ქერი, ხოლო სოფელ კაჩრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 40 ცენტნერი. სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 28 ცენტნერ ხორბალს, არაშენდის კოლმეურნეობაში — 30 ცენტნერს, ნახიანის კოლმეურნეობაში — 32 ცენტნერს, ხოლო შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში— 35 ცენტნერს.

რაიონის მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს თავთავიანი კულტურების მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. მტს-ებში არსებული ყველა 51 კომბაინი დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთდა. მკაზე საუშაოდ შერჩეული არიან მოწინავე კომბაინერები, კომბაინერთა თანაშემწეები, ტრაქტორისტები, მწონავები და სხვა დამხმარე მუშახელი. მომზადებულია საველე ფარდულები, კალოები და საწყობები. წესრიგზე მოყვანილია ტრანსპორტი, საველე გზები, ხიდ-ბოგირები და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა. გამზადებულია ნამჯის 30 შემგროვებელი და ტრაქტორები ახალი ხვნისათვის. ყველა კოლმეურნეობასა და მტს-ში შედგენილია მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი, რაც დამტკიცებულია მტს-ების საბჭოს სხდომებზე და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. რაიკომის ბიუროს სხდომაზე დამტკიცებულია მოსავლის აღების რაიონული გეგმა და კომბაინების მოძრაობის გრაფიკი. საკოლმეურნეო სოფლებში უკვე მასობრივად გაჩაღდა პურეულის მოსავლის აღება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა სერიოზული ამოცანები დასახა მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში. პლენუმის ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რაიკომი საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს, მოსავლის აღების სამუშაოთა წარმატებით შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ აგიტაციას. თითქმის ყველა კოლმეურნეობის ცენტრალურ კალოსთან შექმნილია საველე აგიტპუნქტი, რომელიც მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შორის პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრს წარმოადგენს. მთელ რიგ საველე აგიტპუნქტებში შინაარსიანად მოეწყო საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტპუნქტები ყველგან მოთავსებულია ცალკე ოთახში, რომელიც კარგად არის გაფორმებული პლაკატებითა და მოწოდებებით. ყოველ აგიტპუნქტში არის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, შემოღებულია აგიტატორების მორიგეობა. აგიტპუნქტებში სისტემატურად იკითხება ლექციები და მოხსენებები, აგიტატორები მართავენ საუბრებს მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობაზე, შრომის დისციპლინისა და მოწინავეთა გამოცდილების შესახებ. აქვე რეგულარულად ეწყობა კინოფილმების ჩვენება და მხატვრული თვითმოქმედების წრეებისა და გუნდების გამოსვლები.

ამჟამად რაიონის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო თათბირი სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხზე. გათვალისწინებულია ყოველ კოლმეურნეობაში, ბრიგადასა და ფერმაში, ყოველ კალოზე და საველე აგიტპუნქტში გაიმართოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი აგიტსაუბრები, ლექციები და მოხსენებები.

რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ათასამდე აგიტატორი ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ აგიტატორებს, შეარჩევენ მათთვის საჭირო ლიტერატურას, აცნობენ რაიონის წინაშე მდგომ ამოცანებს, ურჩევენ, როგორ მოაწყონ შინაარსიანი და საინტერესო საუბრები.

პარტიული ორგანიზაციები და აგიტატორები იყენებენ მასების პოლიტიკური აღზრდის ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც განსაკუთრებული ძალით ჩაღდება წელს. თვითეული კოლმეურნეობა და მტს-ი, ბრიგადა და კომბაინის აგრეგატი ჩაბმულია მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად კოლმეურნეობებსა და მტს-ებში დაწესებულია წითელი ალმები, რომლებიც მოწინავე კომბაინერებსა და ბრიგადირებს გადაეცემათ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა უზრუნველსაყოფად ორ-სამ კომბაინზე გამოყოფილია თითო ორგანიზატორი რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივიდან. კაჩრეთელმა მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დაამთავრონ 20-25 კალენდარულ დღეში და ვადაზე 40 დღით ადრე შეასრულონ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. ამ ვალდებულების გასანაღდებლად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კომბაინერთა და კოლმეურნეთა შორის. მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის ბადიაურის მტს-მა შეჯიბრებაში გამოიწვია კაჩრეთის მტს-ი. რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება აიღეს პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შემდეგ სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდონ 20.000 ფუთი პური და 15.000 ფუთი მზესუმზირა.

მოწინავე მექანიზატორთა და კოლმეურნეთა გამოცდილების მიხედვით წელს ყველა კოლმეურნეობაში ვაწყობთ კომბაინების ჯგუფურ მუშაობას. 2-3 კომბაინის ჯგუფური მუშაობა ზოგან უკვე პრაქტიკულად ხორციელდება, აგრეთვე ეწყობა კომბაინების ღამით მუშაობა, რაც ერთიორად ადიდებს აგრეგატის ნაყოფიერებას.

რაიონში პურეულის მკაზე 51 კომბაინი მუშაობს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მოსავლის დროულად ასაღებად დამატებით გვესაჭიროება 10-12 კომბაინი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს კაჩრეთის რაიონს დამატებით გადასცემოდა 9 კომბაინი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი კაჩრეთის რაიონს მხოლოდ 5 კომბაინი გადასცა, რაც არ არის საკმარისი.

რაიონის კოლმეურნეობებში რამდენიმე ათეულ ათას ტონა პურეულსა და მზესუმზირას მოსავალს აიღებენ, ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა სატრანსპორტო საშუალებანი დიდი რაოდენობით. მაგრამ კოლმეურნეობებში არსებული 80-მდე ავტომანქანიდან დღეისათვის მხოლოდ 28 მუშაობს. დანარჩენი ავტომანქანები სამუშაოების უქონლობის გამო გაჩერებულია. აუცილებელია ამ მხრივ მეტი პრაქტიკული დახმარება გაგვიწიოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

პურეულის მოსავლის აღებასთან ერთად რაიონის კოლმეურნეობები და მტს-ები უდიდეს მუშაობას ეწევიან პირუტყვის საკვების საკმაო რაოდენობით დასამზადებლად. 1 ივლისისათვის ბუნებრივ სათიბებში თიბვის გეგმა დიდი გადაჭარბებით იყო შესრულებული. ამჟამად საკვების დამზადებაზე მუშაობს 25 სატრაქტორო სათიბი, 28 ცხენის სათიბი და 400-ზე მეტი მოთიბავი, 1.000-მდე კოლმეურნე მონაწილეობს თივის შეგროვებაში. ყველა კოლმეურნეობაში თითქმის მთელ ფართობებზე შემოთიბეს ყანების ნაპირები და საგრძნობი რაოდენობით დააგროვეს თივა. რაიონში ორგანიზებულად დაიწყო სილოსის ჩადგმა და დავალება ამ დარგში უკვე 44 პროცენტით არის შესრულებული. რაიონის პარტიული ორგანიზაციები იმისათვის იბრძვიან, რომ წელს დამზადდეს 10-11 ათასი ტონა სილოსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.000 ტონისა.

კაჩრეთის რაიონის პარტიული ორგანიზაცია საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მთელ ძალებს რაზმავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების წარმატებით განსახორციელებლად. კაჩრეთელი მშრომელები, აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის იმ ღონისძიებებით, რომლებიც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ხორციელდება, კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას, უხვად დაამზადებენ პირუტყვის საკვებს, სწრაფად და უდანაკარგოდ აიღებენ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს, გადაჭარბებით შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმებს.

ზ. გელდიაშვილი,
საქართველოს კომუნისტური პარტიის კაჩრეთის რაიკომის მდივანი.

საბჭოთა სამხედრო ხომალდების ვიზიტი ფინეთში

ჰელსინკი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკის ნავსადგურში ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი, რომელშიც შედიან კრეისერი „ორჯონიკიძე“ და ორი საესკადრო ნაღმოსანი კონტრადმირალ გ. ს. აბაშვილის ალმით.

ზღვაში საბჭოთა ხომალდებს შეხვდა ფინეთის სალოცმანო ხომალდი „კომპასი“. საფლაგმანო ხომალდმა კრეისერმა „ორჯონიკიძემ“, ჩაუარა რა კუნძულ ხარმაიას, ერთა სალუტი მისცა. შეასრულეს სსრ კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ჰიმნები.

ამის პასუხად გოსსინის კუნძულ კუსტაანპიენკის სანაპირო ბატარეის ზალპი.

ნავსადგური ჰელსინკი. მიუხედავად იმისა, რომ ღილაა, იმ ადგილს, სადაც საბჭოთა ხომალდები გაჩერდა, დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ბევრმა მათგანმა ყვავილები მოიტანა. ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებნი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა ხომალდებს. ისინი ამ ვიზიტს უწოდებენ „მეგობრობის ვიზიტს“.

გაზეთი „ტუუკანსან სანომატი“ საბჭოთა ხომალდების ჩამოსვლასთან დაკავშირებით წერს, რომ ეს ვიზიტი არის განუწყვეტლივ მზარდი მეგობრობის ჯაჭვის ახალი რგოლი. ჩვენ ვიცით, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომ საბჭოთა კავშირის არც ფლოტს და არც არმიის არა აქვთ აგრესიული გეგმები, რომ საბჭოთა კავშირის მთელი პოლიტიკის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და მეგობრული ურთიერთობის შექმნა ყველა ხალხთან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმმა, რომელიც ახლა ჩამოვიდა ვიზიტით ჩვენს ქვეყანაში, მეგობრობისა და მშვიდობის ალბალი ჩამოიტანა. სულითა და გულით მივესალმებით საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმს, მის მეთაურებსა და ეკიპაჟს.

საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის გამო

თეირანი, 9 ივლისი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, ამა წლის 8 ივლისს სსრ კავშირის ელჩი ირანში ა. ი. ლავრენტიევი ეწვია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ენთეზამს და საბჭოთა მთავრობის დავალებით შემდეგი შინაარსის სამახსოვრო ბარათი გადასცა:

„ამ უკანასკნელ ხანს ირანისა და უცხოეთის პრესაში მთელი რიგი ცნობები დაიბეჭდა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობებმა განაორციელეს, რათა ჩაითრიონ ირანი აგრესიულ სამხედრო ბლოკში, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთში იქნება მიმდინარე წლის აპრილში დადებული თურქეთ-პაკისტანის სამხედრო კავშირის საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობის ყურადღება მიიპყრო, კერძოდ, ცნობებმა მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამას წინათ თეირანში მოხდა ირანში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ბ-ნ ჰენდერსონსა და ირანის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ზაჰედის შორის. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში ირანის სახელით თითქოს გაიცა ერთგვარი პირობა, რომ ირანი მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ღონისძიებებში ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა ირანის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ირანმა იკისრა საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით, „ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს არ მიიღოს მონაწილეობა არც ფაქტიურად, არც ფორმალურად პოლიტიკურ კავშირებში ან შეთანხმებებში, რომლებიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის უშიშროების წინააღმდეგ ხმელეთზე ან ზღვაში, აგრეთვე მისი მთლიანობის, მისი დამოუკიდებლობის ან მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ“ (ხელშეკრულების მე-3 მუხლი).

ითვალისწინებს რა ამ ვალდებულებათა არსებობას, საბჭოთა მთავრობას სურს სათანადო ახსნა-განმარტება მიიღოს ირანის მთავრობისაგან ზემოხსენებული საკითხის არსის შესახებ“.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ენთეზამმა განაცხადა, რომ სამახსოვრო ბარათს გადასცემს ირანის მთავრობის განსახილველად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბერლინი, 9 ივლისი. (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყება გადმოგვცემს, გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა. მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის მეცნიერებისა და ფარმაცევტული მრეწველობის წარმომადგენლები, სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა.

დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, რომელიც რესპუბლიკაში შეიქმნა, აღნიშნა გროტეოლმა, ადამიანი ყველაზე დიდი ღირებულებაა. ჩვენ მუდამ ვზრუნავთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობისათვის, ვაუმჯობესებთ მისი ცხოვრების პირობებს.

აღნიშნა რა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე ჯანმრთელობის განვითარების წარმატებანი, გროტეოლი შეეხო ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს.

მინისტრთა საბჭომ განიხილა პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის მოხსენება და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 9 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა ცხრა დელეგაციის დახურული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხს. შემდეგი სხდომის თარიღი დაინიშნება თათბირის ორი თავმჯდომარის შეთანხმებით.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება გვატემალის ამბების შესახებ

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა პრესისათვის გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს გვატემალის დემოკრატიული მთავრობის დამხობას. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „გვატემალის დემოკრატიული მთავრობის დამხობამ ძალის დახმარებით შეაძრწუნა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. ასობით მილიონ ადამიანს ეს მიაჩნია საერთაშორისო განგსტერიზმის აქტად, რაც ჰიტლერის არსნალიდანაა ნასესხები. მხეცური შეიარაღებული თავდასხმა ფაქტიურად უმწეო ქვეყანაზე, რომლის (მოსახლეობა 3 მილიონს უდრის) და მეხუთე კოლონის მიერ ამ ქვეყნის ხელისუფლების ხელში ჩაგდება მათ მიაჩნიათ უოლ-სტრიტის ტრესტების ახალ საშინელ აგრესიად.

ხუნტა, რომელიც დღეს გვატემალას მართავს არსებითად არის „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ ხუნტა. ეს არის მილიტარისტულ-ფაშისტური დიქტატურა, რომლის სათავეში დგას შეერთებული შტატების ელჩი ჯონ პერიფუა. მისი ბრძანებებით ყალბმა პოდპოლკოვნიკებმა ტერორი გაამეფეს. როგორც თვითონ აღიარეს, მათ დაიპატიმრეს 2.000 კაცი და ფიქრობენ შექმნან საკონცენტრაციო ბანაკები. ყველა დაპატიმრებულს, რასაკვირველია, უწოდებენ „კომუნისტებს“, მაგრამ გარდა კომუნისტებისა, მათ შორის არიან არა კომუნისტები — პროფკავშირული მოღვაწეები და გლეხთა ფედერაციის წევრები, სტუდენტები, დემოკრატიული ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიებისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წევრები.

ხუნტამ გაუქმა მიწის რეფორმა და, ცდილობს რა უზრუნველყოს ის, რომ მომავალი არჩევნების შედეგებმა დაკმაყოფილოს „იუნაიტედ ფრუტ კომპანი“ და ვაშინგტონი, გამოაცხადა, რომ ყველა წერა-კითხვის უცოდინარს არ ექნება ხმის უფლება. ეს ნიშნავს, რომ ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვას მოსახლეობის უმრავლესობას“.

კომუნისტური პარტია თავის განცხადებაში შემდეგ აღნიშნავს, რომ პროტესტს აცხადებენ ჩილის, ურუგვაისა და არგენტინის დეპუტატთა პალატები, პროტესტს აცხადებს ასიათასობით პროფკავშირული და სხვა მოღვაწე მთელ ლათინურ ამერიკასა და სხვა ქვეყნებში, რომლებმაც დაგმეს გვატემალას დემოკრატიულ მთავრობაზე თავდასხმა.

დასასრულ ეროვნული კომიტეტი მოითხოვს შეწყდეს გვატემალის დემოკრატიული ძალების დევნა და უკან იქნას გაწვეული ამერიკის ელჩი გვატემალაში პერიფუა.

„ჟენმინჟიბაო“ საერთაშორისო ვითარების შესახებ

პეკინი, 9 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ დღეს მოწმანაგე სტატიაში წერს, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარების ერთერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება არის ის ფაქტი, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში უკვე გარკვეული წარმატებით დაგვირგვინდა. ჟენევის თათბირი ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას განაგრძობს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი იმ ძალების საერთო ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან. აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი აყო ჯოუ ენ-ლაისა და ინდოეთისა და ბირმის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა.

მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, აღნიშნავს გაზეთი, ერთსულოვნად მიაჩნია, რომ საერთაშორისო მდგომარეობის ასეთი განვითარება ბევრ რამეში ხელს უწყობს მშვიდობის მიღწევას აზიაში და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

მაგრამ, აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები კვლავ დაჟინებით ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკას — შეინარჩუნონ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა, ცდილობენ წინააღუდგნენ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის მიღწევა. ახლა ისინი იწყებენ ახალ სამხედრო ავანტიურებს მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. კერძოდ აზიის ხალხთა წინააღმდეგ. ამერიკის მმართველი წრეები, რომლებმაც სამხედრო პაქტები დადეს იაპონიის, ფილიპინების რეაქციულ მმართველებთან და ლისინმანელთა ხროვასთან, გეგმავენ ახლა ასეთივე პაქტი დადონ ჩან კაი-შელთა ბანდასთან, რომ შემდგომ ამ რეჟიმებისაგან შეაკოწიწონ ეგრეთწოდებული „ჩრდილოეთ წყნარი ოკეანის სამხედრო ბლოკი“. ამ სამარცხვინო ავანტიურაში ამერიკის შეერთებული შტატებს მმართველი წრეების დავალებით მთავარ როლს ასრულებს გენერალი ვან ფლიტი, რომელმაც ამას წინათ იმოგზაურა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ვან ფლიტის გამგზავრება ტაივანზე უკავშირდება იმას, რომ ამერიკის მმართველი წრეები ჩან კაი-შისთან „ურთერთუშიშროების შეთანხმების“ დადებით ეარაუდობენ განამტკიცონ ტაივანის ოკუპაციის დანაშაულებრივი აქტი.

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ხრიკები, რომელთა მიზანია მდგომარეობის გამწვავება, წერს გაზეთი, ეწინააღმდეგება ჩინელი ხალხისა და აზიის ყველა ხალხის ინტერესებს. აგ ხრიკებს სულ მეტ წინააღმდეგობას უწევენ არა მარტო დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა შორისაც. აზიის მთავარი ქვეყნები წერს დასასრულ გაზეთი, აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა ახლა მონიტორივენ შშვიდობის აღდგენას ინდოჩინეთში და დაძაბული მდგომარეობის შენელებას აზიასა და მთელ მსოფლიოში. ამერიკელ იმპერიალისტთა ყოველი ცდა თავისი მარიონეტების დახმარებით გააჩაღონ ახალი ომი აზიაში განწირულია ჩასაფუშავად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია ჯაკარტაში

ჯაკარტა, 9 ივლისი. (საკდესი). ჯაკარტაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის ყოფნა ინდონეზიის ეროვნულ ყურადღების ცენტრშია. დღეს იუწყებიან, რომ მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდონეზიის დელეგაციებს შორის წარმატებით მიმდინარეობს. მიღწეულია შეთანხმება, რომ შეიქმნას შერეული კომისიები პეკინსა და ჯაკარტაში შარშან დადებული სავაჭრო შეთანხმების განსახორციელებლად.

დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ კაუჩუკის მწარმოებლები, რადგან ჩინეთთან სავაჭრო შეთანხმების განხორციელება პირობებს ქმნის იმისათვის, რომ მოსპოს კაუჩუკის ფასების პოლიტიკა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით ხორციელდება. გაზეთ „ხარიან რაკიატის“ ცნობით, ჯამბიში (ცენტრალური სუმატრა), სადაც უკანასკნელ ხანს ყოველთვიურად აწარმოებდნენ 3 ათას ტონა კაუჩუკს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან წარმატებით მოლაპარაკების შედეგად კაუჩუკის წარმოება გადიდდება დაახლოებით 8 ათასი ტონით თვეში.

ამავე დროს პრესა ყურადღებას აქცევს ამერიკელთა მისწრაფებას ხელი შეუშალონ ინდონეზია-ჩინეთის სავაჭრო მოლაპარაკებას. როგორც გაზეთი „ანადი“ იუწყება, ორი დღის წინ ამერიკის ელჩმა კამინგმა ინახულა პრემიერ-მინისტრი სასტროამიჯოიო და განუცხადა მას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განსაკუთრებით აინტერესებთ კაუჩუკი, რომელიც ინდონეზიამ გადაწყვიტა ჩინეთში გაგზავნოს.

ინდონეზიის პრემიერ-მინისტრ სასტროამიჯოიოს განცხადება

ჯაკარტა, 9 ივლისი. (საკდესი). გაზეთები ბეჭდავენ ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის სასტროამიჯოიოს განცხადებას. „ჩვენს მოსწრაფებას მშვიდობისადმი, — განაცხადა მან, — შეუძლია გამამჯვნოს, თუ იგი შეესაბამება აზიის ხალხების ინტერესებს. ეს მისწრაფება მშვიდობისა და აზიის ხალხთა ინტერესების დაცვისადმი გაამარჯვებს, თუ ბოლო მოეღება კონსერვატიულ პოლიტიკას, რომელიც ძირს უთხრის აზიის ხალხთა ინტერესებს“.

სასტროამიჯოიომ ხაზგასმით აღნიშნა დელსა და რანგუნში ჯოუ ენ-ლაის მოლაპარაკების დიდი მნიშვნელობა. შეეხო რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის ყოფნას ჯაკარტაში, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ეს „საერგებლობას მოუტანს არა მარტო ინდონეზიას, არამედ აზიის ყველა ხალხს“.

გაზეთი „ბერიტა ინდონეზია“ სარედაქციო სტატიაში, მიესალმება რა პრემიერ-მინისტრის განცხადებას, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს მსოფლიოში მოხდა ძვრები, „რომლებიც ფრიად ხელსაყრელია არა მარტო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, არამედ აზიის ყოველი ქვეყნისათვის, რომელიც მზარს უქერს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას“. გაზეთი წერს, რომ ეს ძვრები „ლიხვარს სცემს დასავლეთის სახელმწიფოებისა და ამერიკის ხელმძღვანელთა კონსერვატიულ პოლიტიკას“.

დამთავრდა მოლაპარაკება ლონდონში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციასა და ინგლისის საძმიანი წრეების წარმომადგენელთა შორის

ლონდონი, 10 ივლისი. (საკდესი). გუშინ ლონდონის სავაჭრო პალატაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოქვეყნდა განცხადება, რომ დამთავრდა მოლაპარაკება ჩინეთ-ინგლისის ვაჭრობის კომიტეტსა (რომელიც წარმოადგენს ბრიტანეთის სავაჭრო პალატების ასოციაციას, ჩინეთის ასოციაციას (ინგლისელ საქმოსანთა ასოციაცია, რომლებსაც ინტერესები აქვთ ჩინეთში. — რედ.), ბრიტანეთის მრეწველთა ფედერაციას, ლონდონის სავაჭრო პალატას და მრეწველთა ეროვნულ კავშირს) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციას შორის, რომელიც ინგლისში იმყოფება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების მიზანი იყო „ჩინეთის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებსა და ინგლისის სამრეწველო და სავაჭრო ფირმებს შორის საქმიანი ურთიერთობის შესაძლებლობის გაფართოება, აგრეთვე ვაჭრობის განვითარება, ერთი მხრივ, შეერთებულ სამეფოსა და ჰონკონგს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩინეთს შორის“.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება და რომ ამ მიზნით ჩინეთ-ინგლისის ვაჭრობის კომიტეტმა მიიღო ჩინეთის მიწვევა მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაგზავნის ინგლისის დელეგაცია პეკინს საპასუხო ვიზიტით.

ჯოუ-ენ ლაის მოლაპარაკების გამო დელსა და რანგუნში

პეკინი, 9 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ბირმისა და ცეილონის გაზეთები კვლავ უკეთებენ კომენტარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ანასწინანდელ მოლაპარაკებას ინდოეთისა და ბირმის პრემიერ-მინისტრებთან. ახალი ყოველდღიური გაზეთი „ბირმა სტარი“ სტატიაში სათაურით „აზიის ქარტია“ წერს: „ეს იმას ნიშნავს, რომ აზიის საქმეებს უკეთ წყვეტენ თვითონ აზიელები“. ჩინეთ-ინდოეთისა და ჩინეთ-ბირმის ერთობლივი განცხადებანი, აღნიშნავს გაზეთი, „ცხადყოფენ, რომ დაიწყო გულწრფელი ურთიერთობა ჩინეთს, ინდოეთსა და ბირმას შორის“.

ინგლისის პრესა ეიზენჰაუერისა და დალესის გამოსვლების შესახებ

ლონდონი, 9 ივლისი. (საკდესი). ინგლისის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენის საკითხს ეიზენჰაუერისა და დალესის იმ უკანასკნელ განცხადებებთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები მთელი ძალებით გაუწევენ ამას წინააღმდეგობას. დალესის გამოსვლის შესახებ ცნობებისა და სარედაქციო კომენტარების ხასიათი მოწმობს, რომ ინგლისსა და ამერიკას შორის ამ საკითხში სერიოზული უთანხმოებაა. მთელი რიგი გაზეთები, რომლებიც მსაზარივი ტირაჟით გამოდის, მკვეთრ წინააღმდეგობას უწევენ დალესის გამოხდომებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ და მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობამ დამოუკიდებელი პოლიტიკა განახორციელოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

„დეილი მირორი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „ჩვენი მიზანი ის უნდა იყოს, რომ შევეთანხმდეთ ჩინეთის ახლანდელ რეჟიმს“, და აღნიშნავს, რომ ინდოეთი და ახალი ზელანდია მოითხოვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

„დეილი მეილი“ სარედაქციო სტატიაში გმობს ეიზენჰაუერის განცხადებას და, ხაზგასმით აღნიშნავს, რა რომ „დიპლომატია უნდა ეკუთვნოდეს საქმის რეალურ ვითარებას და არა მონაჯორს“, წერს: „გაერთიანებული ერები ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოთა ორგანიზაცია კი არ არის. ეს ყველა ერის ორგანია, თუ ეს ასე არ არის, იგი არარაა. შეერთებული შტატები ისეთ კურსს ადგანან, რომელიც ხელს არ უწყობს ორი სამყაროს დაახლოებას და შერიგების ნორმალური პროცესებისათვის ნაკლებ შესაძლებლობას წარმოადგენს“.

ამერიკის მხარე აჩლევს კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებას

პეკინი, 9 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

6 ივლისს ჩრდილოეთ კორეაში ნახევარ კუნძულ იინსნზე დაბინავებულმა ნაწილებმა დაიკავეს ორი ამერიკული ჯგაუში, რომლებსაც ეცვათ ამერიკის საჰაერო ფორმა და თან ჰქონდათ ყალბი დოკუმენტები. ორივე ჯგაუშმა ალიარა დანაშაულებრივი მოქმედება. მათი სახელებია: კიმ სუკ ხი და ბე ჩან ხვანი. ისინი ეკუთვნიან ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო-საჰაერო ძალების განსაკუთრებული დანიშნულების № 6006 და 8240 ნაწილებს, რომლებიც განლაგებული არიან კუნძულ კანხვაზე.

ჯგაუშთა შეგზავნა, რაც სერიოზულად აღღვევს დაზავების შესახებ შეთანხმების, მოხდა მიუხედავად იმისა, რომ კორეა-ჩინეთის მხარემ არაერთგზის განაცხადეს პროტესტი ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. ივლისის პირველ ექვს დღეში, როგორც ავტორიტეტიანი წრეებიდან გამოირკვა, კორეა-ჩინეთის მხარემ ხელთ იგდო რამდენიმე ამერიკელი აგენტი. 1 ივლისს დილით ამერიკელი აგენტი ლი ჩონ კუკი დაიკავეს ნახევარკუნძულ იინანის სამხრეთ-დასავლეთით. მეორე დღეს აგენტი ო სუნ ხვა დაიკავეს დემილიტარიზებულ ზონაში პანმინჯონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მან აღიარა, რომ ამერიკის ჯარების № 8112 ნაწილის სარდლობამ შემოგზავნა შორეულ აღმოსავლეთში. იმავე დღის საღამოს ამერიკის მხარის მეორე აგენტი დაიკავეს დემილიტარიზებულ ზონაში მუდანის მახლობლად.

საფრანგეთის მოსახლეობის რიცხვი

პარიზი, 9 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთში დამთავრდა მოსახლეობის აღწერა. პრესაში გამოქვეყნებული ოფიციოზური მონაცემებით, საფრანგეთის მოსახლეობა უდრის 43 მილიონს, ე. ი. 2,5 მილიონით მეტია, ვიდრე 1946 წლის აღწერით იყო.

ინდოჩინეთში საფრანგეთის ჯარების გამგზავრების საკითხის გამო

პარიზი, 9 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყება, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა კენიგმა და მარინოსა და ტუნისის საქმეთა მინისტრმა ფუშემ გუშინ სიტყვები წარმოთქვეს „სოციალურ რესპუბლიკელთა“ პარლამენტის ჯგუფში საკითხზე, რომელიც შეეხება ჯარების შესაძლო გაგზავნას ინდოჩინეთში. გენერალი კენიგი დასჯერდა იმას, რომ გაიხსენა განცხადება, რომელიც აპის წინ გააკეთა საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა მენდეს-ფრანსმა ეროვნულ კრებაში.

„ლიბერასიონი“ წერს, რომ „სოციალურ რესპუბლიკელთა“ (ყოფილი ტიგოლელები) ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა გამოამეღავნა ის აზრი, რომ ისინი წინააღუდგებიან ინდოჩინეთში რეგულარული ჯარების გაგზავნას.

ირანელ ოფიცერთა ჯგუფის გამგზავრება თურქეთს

თეირანი, 9 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ბოსტე თეჰრანის“ ცნობით, გუშინ ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის ოფიცერთა ჯგუფი (14 პოლკოვნიკი, 1 მაიორი და 1 კაპიტანი) თურქეთის მთავრობის მიწვევით თურქეთს გაფრინდა.

15 დღის განმავლობაში ირანელი ოფიცრები, გაზეთის სიტყვით, თურქეთის მთავრობისა და არმიის სტუმრები იქნებიან და შეხვდებიან შტაბების უფროსებს და სხვა სამხედრო ხელმძღვანელებს.

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიგრება ცურვაში



ბიბლიოთეკა

თბილისი. 10 ივლისი. ლამაზად გამოიყურებოდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური სასპორტო ბაზა — ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზი. თვალს იტაცებდა მისი მიდამოები, ტრიბუნები, საცურავი ბილიკები, მცირე აუზები, სხვადასხვა დამბმარე ნაგებობანი.

აქ გაიმართა თბილისში პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ცურვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა მონაწილეობით.

საღამოს 7 საათია. სპორტსმენები ამთავრებენ წვრთნას. კიდევ რამდენიმე წუთი და საზეიმო მარშის ხმაზე აღმოსავლეთ ტრიბუნისაკენ მწყობრი ნაბიჯებით მიემართებიან ასპარეზობაში მონაწილე ქვეყნების მოცურავე ქალები და ვაჟები. მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან მათ.

სპორტსმენებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის წარმომადგენელი ზ. ფირსოვი. საბჭოთა კავშირის გუნდის წევრებმა სტუმრებს სამახსოვრო ალმები და თაიგულები უძღვნეს.

სტარტზე არიან ვაჟები — 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვის მონაწილენი. მსაჯის ნიშანზე ისინი აკეთებენ ლამაზ ნახტომს და ეშვებიან წყალში. დაიწყო სპორტული ბრძოლა. პირველ ჯგუფს მიჰყვა მეორე, მეორეს — მესამე.

სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები დროის მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ: რ. ბელოდედი (სსრ კავშირი, 59,2 წამი), ლ. ბალანდინი (სსრ კავშირი, 59,3 წამი), ბ. კურენოი (სსრ კავშირი, 59,6 წამი), ხ. ბოგაჩევი (სსრ კავშირი, 59,7 წამი), ა. ემინანტი (საფრანგეთი, 1 წუთი და 0,2 წამი).

ვაჟები ქალებმა შეცვალეს. ისინი პირველობას ეცილებოდნენ 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში. აქ წარმატებას მიაღწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა — ე. შულცემ, ე. პოსტელტიმ და კ. როტმა, რომლებმაც პირველი სამი ადგილი დიაკავეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია 200 მეტრზე ცურვამ ვაჟთა და ქალთათვის ბრასის სტილით. ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვა კ. ბოდენგერმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელმაც მანძილი დაფარა 2 წუთსა და 42 წამში. ეს დრო მსოფლიოში მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგად ითვლება. ამავე დისტანციაზე ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვა კ. ბარტმ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 2 წუთი და 58,5 წამი).

ზურგზე ცურვაში 100 მეტრზე ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ვ. სოლოვიოვმა (სსრ კავშირი, 1 წუთი და 8,4 წამი), ქალთა შორის — ა. შნეიდერმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 1 წუთი და 18,2 წამი).

შეჯიბრება გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობს.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ცურვაში გაგრძელდება 12 ივლისამდე.

სურათებზე: ზევით — შეჯიბრების გახსნის მომენტი, ქვევით — ნებისმიერი სტილით 100 მეტრზე ცურვის სტარტი ვაჟთა-თვის.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 10 ივლისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის XVI ჩემპიონატის მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი კვლავ მოსკოვის „დინამოს“ უკავია, რომელსაც 17 თამაშიდან შეგროვებული აქვს 24 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში

ხოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები

11 ივლისს	მ. მრევლიშვილი — **ნიკოლოზ ბარათაშვილი**
12 ივლისს	ჯ. ბუაჩიძე — **მკაცრი ძალიშვილები**

ბილეთები იყიდება გრიბოედოვის თეატრის სალაროში

მოქალაქე **ოდისეი თედორეს-ძე სარიევმა**, მცხოვრებმა ყაზბეგის ქ. № 8, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ მათეს ასულ სარიევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **რუბენ აშოტის-ძე მარიანცმა**, მცხოვრებმა ხეთაგუროვის ქ. № 87, აღძრა საქმე ხეთაგუროვის ქ. № 79 მცხოვრებ მოქალაქე **სედა ანუშევანის ასულ საგოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

მიხეილ ტოპჩიევი მეუღლით ლიზა ბატაშვილით და შვილთა ზოიათი, ალიოშა და ევა შალუმაშვილება ოჯახებით იუწყებიან სიძის **ბესიკ ფიჩხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-VII, 8 ს. გამოსვენება 12-VII, 5½ ს. ხეთაგუროვის ქ. № 42.

დები ნინო, ვერა, საშა, ძმა მიხეილ ბახტაძეები იუწყებიან დამსახ